

ქალაქ ქუთაისში, ავალიანის ქუჩა N35 საცხოვრებელი სახლის
ოროთახიან ბინაზე, მოქალაქე ზვიადი სიმსივესათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ავალიანის ქუჩა N35 საცხოვრებელი სახლის ოროთახიან ბინაში მცხოვრები მოქალაქე ზვიადი სიმსივეს განცხადება /2014 წლის 20.02 Nს-1104/, რითაც ითხოვს ოროთახიან ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ავალიანის ქუჩა N35 საცხოვრებელ სახლში/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ავალიანის ქუჩა N35 საცხოვრებელი სახლის ოროთახიან ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ზვიადი სიმსივეს /პირადი N60801170876/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ავალიანის ქუჩა N35 საცხოვრებელი სახლის ოროთახიან ბინაზე, საერთო ფართობი 42,44 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 23,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 19,44 კვ.მ, საერთო სარგებლობის დამხმარე ფართობი 10,33 კვ.მ./ მოქალაქე ზვიადი სიმსივეს სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია